**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა -დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის N 26 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებაში დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას ახორციელებს ერთი მოსაკრებლის ინსპექტორი და 6 (ექვსი) ინკასატორი.

მიმდინარე წლის 8 თვეში სულ ამოღებულია 61079 ლარი, აქედან იურიდიული პირებიდან - 50522 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან (მოსახლეობა) -10557 ლარი, მათ შორის ქალაქის მოსახლეობიდან - 3813 ლარი, ხოლო სოფლის მოსახლეობიდან - 6744 ლარი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღინიშნება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების კლება, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N 220 დადგენილების შესაბამისად არ მოგვიხდენია მარტის, აპრილისა და მაისის თვეების დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 266 იურიდიული პირიდან ხელშეკრულება ნარჩენების გატანის მომსახურებაზე გაერთიანებასთან გაფორმებული აქვს 219-ს, ხოლო დარჩენილი 47-დან 18 იურიდიული პირი იხდის თანხას 2018 წლის 2 მარტამდე არსებული ძველი ტარიფით, ხოლო 29 იურიდიული პირი საერთოდ არ იხდის დღემდე.

ასევე გაერთიანებაში გადამხდელთა ბაზაში რეგისტრირებულია 4600 ფიზიკური პირი. მათი გარკვეული ნაწილი, ისე როგორც იურიდიული პირების ნაწილი, დღემდე არ იხდის დასუფთავების მოსაკრებელს, თუმცა ჩვენი სამსახურის მიერ რამდენჯერმე იქნა გაგზავნილი არგადამხდელი აბონენტების სიები მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურში, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ ხელმძღვანელობა შესაბამის სამსახურებთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას აღნიშნული მიმართულებით, რათა გაიზარდოს ამოღებული თანხის ოდენობა.

**გაერთიანების დირექტორი ა. რობაქიძე**